

# ს ა რ ჩ ე ვ ბ ი

## ASYCUDA WORLD მუშაობის ძირითადი წესები

### 1. ზოგადი დებულებები

11	ოპერაციული სისტემები	2
12	ASYCUDA WORLD -ის ინსტალაცია	2
13	სერვერში შესვლა, პროგრამის გაშვება	4
14	პაროლის შეცვლა	7

### 2. ოპერაციები დეკლარაციაზე

2.1	დეკლარაციის შექმნა	8
2.2	სამუშაო პანელი	10
2.3.	დეკლარაციის ლოკალურად შენახვა	10
2.4	ლოკალურად შენახული დეკლარაციის გამოკახება და რედაქტირება	11
2.5	დეკლარაციის ლოკალური შემოწმება და შემოწმება	11
2.6	დეკლარაციის შენახვა სერვერზე	12
2.7	დეკლარაციის ბეჭდვა	12
2.8	დეკლარაციის კმენა სერვერზე	13
2.9	დეკლარაციისათვის C ნომრის მინიჭება	15
2.10	დეკლარაციისათვის A ნომრის მინიჭება	17
2.11	დეკლარაციისათვის K ნომრის მინიჭება	20

3.1	შესაძლო პრობლემები	
-----	--------------------	--

# 1. ზოგადი დებულებები

## 1.1 ოპერაციული სისტემები



ASYCUDA WORLD -ი მუშაობს WINDOWS XP-დან და ზევით ყველა პლატფორმაზე. სასურველია კომპიუტერს ჰქონდეს ოპერაციული მესხიერება მინიმუმ 512 მ/ბაიტი.

რეკომენდირებულია - WINDOWS XP -ის ინგლისური ვერსია.

## 1.2 ASYCUDA WORLD -ის ინსტალაცია

ASYCUDA WORLD -ის დასაინსტალირებლად აუცილებელია დაგაყენოთ java რომლის ვერსია უნდა იყოს აუცილებლად (build 1\_5\_0\_14).

იმის შესამოწმებლად თუ java -ს რომელი ვერსია არის დაინსტალირებული კომპიუტერზე ამისათვის, შედიხართ **WINDOWS** -ის **“Start”** მენიუში, ირჩევთ **“Run...”**-ს და კრიფავთ **“cmd”** გამოსულ ფანჯარაში კი შემდეგ ბრძანებას java -version.




java-ს ახალი ვერსიის მაგ 6.0 არსებობის შემთხვევაში უნდა ამოვანსტალიროთ და დაგაყენოთ შესაბამისი ვერსია (build 1\_5\_0\_14).

საინსტალაციო პაკეტიდან უნდა გადავწეროთ ფაილი font.properties შემდეგ დირექტორიაში C:\Program Files\Java\jre1.5.0\_14\lib, ხოლო ფონტები sylfaen.ttf და BPG\_DedaEna.ttf დირექტორიაში C:\Program Files\Java\jre1.5.0\_14\lib\fonts.


ქართული უნიკოდ შრიფტის დასაინსტალირებლად უშვებთ ფაილებს ILGEU.msi, რომლის ასოების განლაგება ემთხვევა ინგლისურ ასოებს და ILGRU.msi რუსულ ასოებს.

ქართული ენის დასამატებლად სისტემაში შევდივართ (Start > Settings > Control Pannel) და ვიძახებთ Regional and Language Options.

ეკრანზე გამოვა შემდეგი მენიუ.




გადავდივართ ბმულზე Language და ვაჭერთ Details..



ახალ მენიუში ვაჭერთ Add -ს და ვაყენებთ ქართული ენას და შესაბამის განლაგებას. პირველ მენიუში Georgia და მეორეშიც Georgia.

ამის შემდგომ დაემატება მენიუში ქართული ენა.

კლავიატურის გადასართავად თუ რომელ ენაზე გვინდა დავებჭლოთ ენის შესაცვლელად ინგლისურიდან ქართულზე და პირიქით ვრთავთ კლავიშების კომბინაციით (Alt + shift) რომელსაც ვხედავთ ეკრანზე მარჯვენა ქვემოთა კუთხეში.




### 1.3 სერვერში შესვლა, პროგრამის გაშვება

სერვერზე შესასვლელად გაუშვით ინტერნეტ ექსპლორერი და მისამართში ჩაწერეთ შემდეგი <http://192.168.10.52:8081/asyw>




ინტერნეტ ექსპლორერში გამოვა Asycuda World -ის გვერდი და შესაბამის ბმულზე (**ASYCUDAWorld** საქართველო) დაწკაპუნებისას ავტომატურად გადმოიწერება პროგრამა.



პროგრამის გადმოწერის შემდგომ ეკრანზე გამოვა მენიუ სადაც უნდა აკრიფოდ მომხმარებლის სახელი და პაროლი.

მომხმარებლის სახელი შედგება ლათინური პატარა ასოებისაგან.




პროგრამის გადმოწერის შემდგომ დესკტოპზე გაჩნდება იარლიკი, რომლის საშუალებითაც ხელახლა გამოვიძახებთ პროგრამას.




იარლიკის დაკარგვის შემთხვევაში, შესაძლებელია Asycuda World -ის საიტიდან, ინტერნეტ ექსპლორერიდან, ბმულზე დაწკაპუნებით გამოვიძახოთ პროგრამა.

**ASYCUDAWorld**-ში პირველად შესვლის შემდგომ გამოჩნდება ცარიელი ეკრანი საქართველოს დროშისა და რუკის გამოსახულებით.

სამუშაო პანელი შედგება შემდეგი პიქტოგრამებისაგან: 1. საძებნი, 2. შინაარსი, 3. დოკუმენტების ბიბლიოთეკა, 4. საფოსტო ყუთი და 5. გამოსვლა




მუშაობის დასაწყებად მიუწვკაპუნოთ დოკუმენტების ბიბლიოთეკას. გამოჩნდება ფანჯარა, სწორედ ამ ფანჯარაში არსებული მენიუს საშუალებით ხორციელდება სასურველი ოპერაციები.



საფოსტო ყუთის საშუალებით შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის მიღება და გაგზავნა **ASYCUDAWorld**-ის მომხმარებლებისათვის. ასევე საფოსტო ყუთში მოდის სისტემის შეტყობინებები არასწორად აკრეფილი პაროლის შესახებ თუ სხვა.


პროგრამიდან ნორმალურად გამოსვლისათვის ვაჭერთ ღილაკს გამოსვლა




*პროგრამაში მუშაობა სერვერთან კავშირის გარეშე შეუძლებელია. აუცილებელია არსებობდეს კავშირი ცენტრალურ სერვერთან და ამის შემდგომ შევძლებთ პროგრამის გახსნას.*

# 1.4 პაროლის უმცვლა

დოკუმენტების ბიბლიოთეკაში ვხსნით ჩემი პროფილი.



ამ პუნქტის შესრულების შემდეგ ეკრანზე გამოვა ფანჯარა და გადავლივართ ბმულ იდენტიფიცირებაზე.



აქ ორივე უჯრაში აკრიფავთ ერთი და იგივეს (პაროლს) და დააჭერთ შემოწმებას (მრგვალი ისარი). პაროლი შეცვლილია.


თუ შეგეშალათ და სხვადასხვა სიტყვებს აკრიფავთ, სისტემა ავტომატურად მიგითითებთ ამის შესახებ და მოგთხოვთ ხელახლა აკრიფოთ ახალი პაროლი. პაროლი შეძლება იყოს ასოებისა და ციფრების ნებისმიერი თანამიმდევრობა.

თუ პაროლი დაგავიწყდათ, მიმართეთ სისტემის ადმინისტრატორებს.

# 2. ოპერაციები დეკლარაციაზე

## 2.1 დეკლარაციის შექმნა

ახალი დეკლარაციის შესაქმნელად მიუწევაპუნოთ დოკუმენტების ბიბლიოთეკის გამოსახულებას (თუ არა გვაქვს დოკუმენტების ბიბლიოთეკის ფანჯარა გახსნილი), სამუშაო პანელზე, გაიხსნება დოკუმენტების ბიბლიოთეკის ფანჯარა სადაც “ASYCUDA\საბაჟო გაფორმების პროცედურები\დეკლარაცია” გზის საშუალებით და დეტალური დეკლარაციაზე მაუსის მარჯვენა ღილაკის დაწკაპუნებით შევალთ ლოკალურ მენიუში და მიუწევაპუნებთ “ახალი”



ეკრანზე გამოჩნდება ცარიელი საბაჟო სატვირთო დეკლარაცია და დაიწყებთ მასში მონაცემების შეტანას. ერთი გრაფიდან მეორეში გადადიხართ კლავიშა “ENTER”-ზე (გარდა 2 და 8 გრაფებისა) ან კლავიშა “TAB”-ზე დაჭერით. თუ გინდათ გრაფებში საწინააღმდეგო მიმართულებით გადასვლა, მაშინ უნდა დააჭიროთ “SHIFT”-”TAB”-ს ერთდროულად. ერთი გრაფიდან მეორეში გადასვლა შესაძლებელია სასურველ გრაფაში მაუსის კურსორის ჩაწკაპუნებითაც.

*თუ რომელიმე გრაფაში აუცილებელია რაიმე მონაცემის არსებობა და თქვენ ცდილობთ ის გრაფა დატოვოთ ცარიელი ან გრაფაში შეტანილი ინფორმაცია არასწორია სისტემა გააწითლებს აღნიშნულ გრაფას.*


ზოგიერთ გრაფაში გადასვლის შემდეგ შეაქმნევთ, რომ გრაფის მარჯვენა კუთხეში გამოსახულია




სამკუთხელი. მაგალითად:




სამკუთხედზე მიწკაპუნებისას ჩამოიშლება სია სადაც მოჩემულია აღნიშნულ გრაფაში ჩასაწერი ყველა შესაძლო ვარიანტი. ხელით აკრეფის მაგივრად შესაძლებელია აბირჩიოთ პარამეტრი ამ სიიდან.



ასევე შესაძლებელია ზოგიერთ გრაფაში მაუსის მარჯვენა ღილაკზე მიწკაპუნებით გამოვიტანოთ ლოკალური მენიუ, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ ისეთი ოპერაციები როგორცაა "ამოჭრა", "კოპირება". "ჩასმა" და "ძებნა".



"ძებნაზე" მიწკაპუნებით შესაძლებელია მოვეძებნოთ გარფაში ჩასასმელი პარამეტრი. მაგალითად:



## 2.2 სამუშაო პანელი


სამუშაო პანელი შედგება შემდეგი პიქტოგრამებისაგან: 1. დოკუმენტის შემოწმება ლოკალურად, 2. სერვერზე შენახვა, 3. სერვერზე შემოწმება, 4. ლოკალურად შენახული ფაილის იმპორტი სისტემაში, 5. ფაილის ექსპორტი (ლოკალური შენახვა) კომპიუტერში, 6. მიმდინარე დეკლარაციის კომპიუტერის მესსიერებაში დამახსოვრება, 7.8. ბეჭდვა, 9. თანმხლები დოკუმენტების ბეჭდვა, 10. საქონლის დამატება, 11. საქონლის წაშლა და სხვა.




## 2.3 დეკლარაციის ლოკალურად შენახვა

დეკლარაციის გაფორმების (დეკლარაციის კომპიუტერში აკრეფვის) ნებისმიერ მომენტში შესაძლებელია მისი შენახვა თქვენს კომპიუტერში, რათა მასში დაფიქსირებული ინფორმაცია კვლავ და კვლავ გამოიყენოთ. დეკლარაციის სერვერზე შენახვისაგან განსხვავებით, თვენს კომპიუტერში ლოკალური შენახვისას, არაა აუცილებელი დეკლარაცია სრულად იქნეს შევსებული.

პროგრამა საშუალებას იძლევა ნებისმიერ დონეზე მიყვანილი დეკლარაცია შეინახოთ ლოკალურად და მისი შევსება განაგრძოთ მაშინ, როცა ამის აუცილებლობა იქნება.

დეკლარაციის ლოკალურად შენახვისათვის, დეკლარაციის აკრეფვის მომენტში უნდა მიუწკაპუნოთ ღილაკს  (5. ფაილის ექსპორტი (ლოკალური შენახვა) კომპიუტერში)


შემდეგ გამოვა ქვემოთ მოცემული ფანჯარა.



ამ ფანჯარაში მოცემულ პირველ ხაზში, "magaliti" მაგივრად, დაწერეთ შესაბამისი დეკლარაციის თქვენთვის სასურველ სახელს. სასურველია, სახელები შეარჩიოთ ისე, რომ დიდი დროის გასვლის შემდეგაც ადვილად მიხვდეთ თუ რა სახის დეკლარაციაა შენახული ამა თუ იმ დასახელების ფაილში.

ფაილები ავტომატურად ინახება "MY DOCUMENTS" დირექტორიაში, მაგრამ სურვილისამებრ თქვენ შეგიძლიათ სხვა დირექტორიებშიც შეინახოთ ფაილები (ფაილების გაფართოებაა XML).

## 2.4. ლოკალურად შენახული დეკლარაციის ბამოქახება და რედაქტირება

აუცილებელია გავხსნათ ახალი დეკლარაცია შემდეგ მიუწკაპუნოთ ღილაკს  (4. ლოკალურად შენახული ფაილის იმპორტი სისტემაში)

გამოვა ფანჯარა, სადაც მოძებნით თქვენთვის სასურველ ფაილს, მონიშნავთ მას და დააჭერთ ღილაკს "OPEN". დასტურის შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება გამოძახებული დეკლარაცია.

ამის შემდეგ შეგიძლიათ შეიტანოთ მასში ნებისმიერი ცვლილება და რამდენჯერაც გინდათ დაიმახსოვროთ იგი ლოკალურად იგივე ან სხვა სახელით.

## 2.5 დეკლარაციის ლოკალური შემოწმება და შემოწმება

დეკლარაციის აკრეფვის შემდეგ, სისტემა გაძლევეთ საშუალებას მოახდინოთ მასში მითითებული მონაცემების სისწორის შემოწმება.

დეკლარაციაში მრავალი გრაფა თავიდანვე არ შეივსება, თუ მასში არასწორი ინფორმაციის შეტანას ცდილობთ. მაგალითად, თუ ცდილობთ ჩაწეროთ ექსპორტიორი ქვეყნის ისეთი კოდი, რომელიც არ არსებობს, ან საქონლის არარსებული ნომენკლატურული კოდი. სისტემა ავტომატურად ახდენს მათ შედარებას კომპიუტერში არსებულ მონაცემთა ბაზებთან და არ გაძლევეთ საშუალებას ჩაწეროთ მცდარი ინფორმაცია.

მაგრამ არსებობს მონაცემები, რომლებიც ინდივიდუალურია ყოველი კონკრეტული საქონლისათვის და ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის და მათი რაიმე დამხმარე მონაცემთა ბაზაში მოთავსება შეუძლებელია. მაგალითად, საქონლის რაოდენობები, წონები, ღირებულებები და ა.შ. და მათ შესაბამის გრაფებში შეგიძლიათ ნებისმიერი ინფორმაცია ჩაწეროთ.


მაგრამ, რადგან ამავე დროს დეკლარაციაში არსებობს ისეთი გრაფებიც, რომლებშიც მოთავსებული ინფორმაცია დამოკიდებულია სხვა გრაფებში მოთავსებულ ინფორმაციაზე, ყოველგვარი შემთხვევითობის თავიდან ასაცილებლად, სისტემა საშუალებას გაძლევეთ შეამოწმოთ თუ რამდენად სწორი ინფორმაცია შეიტანეთ დეკლარაციაში.

ამისათვის გამოიყენება ლოკალური მენიუს ფუნქციები - "შემოწმე დოკუმენტო" და "შემოწმება სერვერზე".

“შემოწმე დოკუმენტი” ლოკალური შემოწმება წარმოადგენს დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემების შედარებას თქვენს კომპიუტერში ლოკალურად არსებულ მონაცემთა ბაზებთან და დაბეგვრის პარამეტრებთან.


“შემოწმება სერვერზე”- შემოწმება წარმოადგენს დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემების შედარებას ცენტრალურ სერვერში არსებულ მონაცემთა ბაზებთან და დაბეგვრის პარამეტრებთან.

დეკლარაციაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში გამოვა ფანჯარა შეცდომების ჩამონათვალით. შეცდომის სტრიქონზე მიწკაპუნების შემდეგ გადავალთ იმ გრაფაში სადაც შეცდომაა.



## 2.6 დეკლარაციის შენახვა სერვერზე


შესაძლებელია სერვერზე შენახული დეკლარაციის გამოახება, მასში ნებისმიერი სახის ცვლილების შეტანა და მე-7-ე გრაფაში მითითებული საცნობარო ნომრის შეცვლის შემდეგ მისი ხელახალი შენახვა სერვერზე, მაგრამ ეს უკვე სხვა დეკლარაცია იქნება.

დეკლარაციის სერვერზე შესანახად მიუწკაპუნოთ ღილაკს  (2. სერვერზე შენახვა)


თუ დეკლარაციაში არ არის დაშვებული რაიმე სახის შეცდომა, მაშინ დეკლარაცია გადაიგზავნება სერვერზე, რის შესახებაც სისტემა მოგცემთ მყისიერ შეტყობინებას.

თუ დეკლარაციაში არის რაიმე შეცდომა, სისტემა მოიქცევა ზუსტად ისე, როგორც მოიქცეოდა რომ გაგეკეთებინათ დეკლარაციის შემოწმება.

## 2.7 დეკლარაციის ბეჭდვა.


დეკლარაციის დასაბეჭდათ, მიუწკაპუნოთ ღილაკს  (7.8. ბეჭდვა)

ამის შემდეგ დაიბეჭდება დეკლარაცია (ოპერაციული სისტემა WINDOWS-ის მიმდინარე პრინტერზე).

თანმხლები დოკუმენტების ჩამონათვალის დასაბეჭდათ მიუწკაპუნოთ ღილაკს  (9. თანმხლები დოკუმენტების ბეჭდვა).

## 2.8 დეკლარაციის ძებნა სერვერზე

დეკლარაციის მოსაძებნად მივუწკაპუნოთ დოკუმენტების ბიბლიოთეკის გამოსახულებას (თუ არა გვაქვს დოკუმენტების ბიბლიოთეკის ფანჯარა გახსნილი), სამუშაო პანელზე, გაიხსნება დოკუმენტების ბიბლიოთეკის ფანჯარა სადაც “ASYCUDA\საბაჟო გაფორმების პროცედურების\დეკლარაცია\” გზის საშუალებით და დეტალური დეკლარაციაზე მაუსის მარჯვენა ღილაკის დაწკაპუნებით შევალთ ლოკალურ მენიუში და მივუწკაპუნებთ “ძებნა .....”



იმისდამიხედვით, თუ როგორ ძებნას ავირჩევთ, გამოვა სხვადასხვა პარამეტრების მქონე საძიებელი ფანჯარა. მაგრამ ერთი და იგივე ფუნქცია ყველა ფანჯარაში, ერთნაირად მუშაობს, ამიტომ მაგალითისთვის ვნახოთ ძებნა სერვერზე შენახულის.

სვეტში კრიტერიუმი შეგვყავს ძებნისათვის საჭირო პარამეტრები და ვაწკაპუნებთ ღილაკზე “ძებნა”. მაგალითად შემდეგ ძებნის კრიტერიუმში ვეძებთ დეკლარაციას რომელიც: გამოწერილილია საბაჟო - 69000, დეკლარანტის კოდია - XXXXXXXXXX, დეკლარანტის საცნობარო ნომერი შეიცავს - NNNNN.

**Finder: stored declarations**

ვთხოვთ შეიყვანოთ მონაცემები სასურველი დოკუმენტის მოსაძებნად  
დეტალური დეკლარაცია


სახელი	კრიტერიუმი	მნიშვნელობა #1	მნიშვნელობა #2
საბაჟო	ტოლია	69000	
დეკლარანტი	ტოლია	X00000000X	
დეკლ. საცნ. N-ის წელი	მეტია	2008	
დეკლ. საცნ. N	შეიცავს	NNNNN	
ტიპი	სულ		
General proc.	სულ		
ექსპორტიორი	<b>სულ</b>		
ტვირთის მიმღები	<b>სულ</b>		
სულ გადასახდელები:	<b>იწვება</b>		
	<b>ბოლოვდება</b>		
	<b>შეიცავს</b>		
	<b>ტოლია</b>		
	<b>expression</b>		
	<b>ცარიელია</b>		
	<b>არ არის ცარიელი</b>		

კებნა


აქვე ნაჩვენებია ძებნის სხვა შესაძლო პარამეტრებიც.

## 2.9 დეკლარაციისათვის C ნომრის მინიჭება


1. მოვებნით სერვერზე შენახული დეკლარაცია (მაგ. DEK003, იხ. 2.8 დეკლარაციის ძებნა სერვერზე).
2. მაუსის მარჯვენა ღილაკზე მიწკაპუნებით გამოვა სურათზე ნაჩვენები მენიუ. ვირჩევთ „Retrieve“.




3. ეკრანზე გამოვა დეკლარაცია
4. შესაბამისი ველების შემოწმებისა და ჩასწორების შემდეგ ვაჭერთ ღილაკს დამტკიცება (იხ. სურათი)



5. რის შემდეგაც ეკრანზე გამოდის შეტყობინება



თანხმობის შემთხვევაში გამოდის შეტყობინება




რაც ნიშნავს, რომ დეკლარაციას მიენიჭა C ნომერი (მოცემულ შემთხვევაში C 2135)




## 2.10 დეკლარაციისათვის A ნომრის მინიჭება


1. მოვებნით სერვერზე შენახული დეკლარაცია (მაგ. C 2135, იხ. 2.8 დეკლარაციის კეზნა სერვერზე).
2. მათის მარჯვენა ღილაკზე მიწკაპუნებით გამოვა სურათზე ნაჩვენები მენიუ, ვირჩევთ „Retrieve“.




3. სურათზე ნაჩვენებ ღილაკზე მიწკაპუნებით ვიწყებთ დეკლარაციისათვის A ნომრის მინიჭებას



4. ეკრანზე გამოდის შეტყობინება




თანხმობის შემთხვევაში გამოდის შეტყობინება (თუ დეკლარაცია მოხვდა მწვანე დერეფანში)




ეს ნიშნავს, რომ დეკლარაციას მიენიჭა A ნომერი (მაგ. A 2113).


5. თუ დეკლარაცია მოხვდა წითელ ან ყვითელ დერეფანში გამოვა შეტყობინება (მოცემულ მაგალითში დეკლარაცია მოხვდა ყვითელ დერეფანში)



6. კანონმდებლობით გათვალისწინებული ოპერაციების ჩატარების შემდეგ უფლებამოსილი პირი აგზავნის აღნიშნულ დეკლარაციას მწვანე დერეფანში სურათზე ნაჩვენები მენიუს საშუალებით



აღნიშნული პუნქტის არჩევის შემთხვევაში პროგრამა მოითხოვს დასტურს (გნებავთ მწვანე დერეფანში გადაყვანა?)



რის შემდეგადაც პროგრამა გვაცნობებს, რომ დეკლარაცია გადავიდა მწვანე დერეფანში




რის შემდეგაც ვატარებთ იმ პროცედურებს რომლებიც განხილულია მე-4 პუნქტში.

## 2.11 დეკლარაციისათვის K ნომრის მინიჭება

1. დეკლარაციისათვის K ნომრის მისანიჭებლად გადავდივართ დოკუმენტების ბიბლიოთეკის შემდეგ პუნქტში:

**\\ASYCUDA\ანგარიშები და გადახდები\გადახდები\დეკლარაცია (ნაღდი)**



2. სადაც „ახალი“ –ს არჩევს შემთხვევაში გამოდის K ნომრის მინიჭების დამადასტურებელი საბუთის (ქვითრის) ფორმა შესავსებად






# დეკლარაცია რომლის მაგალითზეც მოხდა დეკლარაციისათვის C, A და K ნომრების მინიჭება შესაბამისად

		<b>A. დანიშნულების საბაჟო</b>																
<b>2. ექსპორტიორი No.</b> ი/მ "რუსველ ფორუმ სანალა ოდლი" ქ. ბაქო აზერბაიჯანი		<b>1. დეკლარაცია No.</b> 89014 იმ 4	გ/კ "რუსთავი" დეკლარაციის საგნობარო ნომერი C 2135 18/09/2008															
<b>8. იმპორტიორი No.</b> 104515534 ი/მ ანზორ იმერლიშვილი "ლომა" ქთბილისი გორგასალის ქ.73		<b>3. ფორმ.</b> 1 <b>4. ფურც.</b> 1	<b>7. საგნობარო ნომერი</b> DEK003															
<b>14. დეკლარაციის ნომერი No.</b> 216429531 შპს "რუსთავეტერმინალი" ქ. რუსთავი, ფიროსმანის ქ.38		<b>9. ფინანსურ დარეგ. კაბ. ... No.</b> 104515534 ი/მ ანზორ იმერლიშვილი "ლომა" ქთბილისი გორგასალის ქ.73	<b>10. ბოლო ქ...</b> 13. მ.გ. 0.00															
<b>18. სატრანსპორტი საშუალება დანიშნულების ადგილზე</b> 01 ა/მ VOV-976 268		<b>15. გამოგზავნი ქვეყანა</b> აზერბაიჯანი	<b>16. წარმოშობის ქვეყნის კოდი</b> აზერბაიჯანი															
<b>21. სატრანსპორტი საშუალება საზღვარზე</b> 01 ა/მ VOV-976 268		<b>17. დანიშნულების ქვეყანა</b> საქართველო	<b>20. მიწოდების პირობები</b> CIP თბილისი															
<b>25. სატრ. ხაზ.</b> 31 <b>26. სატრ. ხაზ.</b> 31 <b>27. რატეირთვის ადგილი</b>		<b>22. ვალ და ხაჯ. ხაერ. ფაქტ. ღირ.</b> 6,120.00	<b>23. ვალ. კურსი</b> 1.4180 <b>24. გარიგების</b> 2   1   ხაზე															
<b>29. შეშვების საბაჟო</b> 89002 გ/კ "რუსთავი ბიდი"		<b>28. ფინანსური და საბანკო მონაც. კო...</b> 0000001 გადახდ. პირობ.	<b>32. საქ. ნომ.</b> 1 <b>33. საქონლის კოდი</b> 07095990 000															
<b>31. საქონლის აღწერა და რაოდ.</b> ნიშნები და რაოდენობა - კონტეინერის ნიშნები-რაოდენობა და ხავე ნიშნები და N: 003-102 ადგილი რაოდ./ხავე: 400 16 კონტეინერის N სოკო "შამპინიონი"		<b>34. წ. ქ. კოდი</b> 31 <b>35. ბრუტო (კგ)</b> 4,330 <b>36. პრეფ.</b> СПСНГ	<b>37. პროცედურა</b> 4000 000 <b>38. ნეტო (კგ)</b> 4,000 <b>39. ქვრტა</b>															
<b>44. დამ. ინფორმაცია</b> დამ. 0.00+0.00+0.00+0.00-0.00 დამ. 002 003 004 008 047 027 030 001		<b>40. საერთო დეკლარაცია/ნიშნები დოკუმენტი</b>	<b>41. დამ. ზომ. ერთ.</b> 8,120.00 <b>42. საქ. ღირებულ.</b> 1 <b>43. ს. ...</b> 1.00 <b>45. კორექტირება</b> <b>46. სტატისტიკური ღირ.</b> 8,878.16															
<b>47. გადახადების გამოთვლა</b> <table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <thead> <tr> <th>ტიპი</th> <th>დასაბეგრი ბაზა</th> <th>განაკვეთი</th> <th>ღირ</th> <th>ა.ფ</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>28</td> <td>8,811.480</td> <td>18.000</td> <td>1,586.07</td> <td>1</td> </tr> <tr> <td colspan="3" style="text-align: right;"><b>სულ</b></td> <td>1,586.07</td> <td>1</td> </tr> </tbody> </table>		ტიპი	დასაბეგრი ბაზა	განაკვეთი	ღირ	ა.ფ	28	8,811.480	18.000	1,586.07	1	<b>სულ</b>			1,586.07	1	<b>48. გადახდის გადავადება</b>	<b>49. საწვინის დასახელება</b>
ტიპი	დასაბეგრი ბაზა	განაკვეთი	ღირ	ა.ფ														
28	8,811.480	18.000	1,586.07	1														
<b>სულ</b>			1,586.07	1														
<b>50. პრინციპალი No.</b>		<b>51. ტრანზ. ქვეყნ. საბაჟო (და ქვეყანა)</b> წარმომადგენელი ადგილი და თარი...	<b>52. გარანტია</b> მალაში არაა															
<b>D. კონტრაქტი დანიშნულების საბაჟოზე</b>		<b>53. დანიშნულების საბაჟო (ან ქვეყანა)</b>	<b>54. ადგილი და თარი...</b>															
ხელმოწ...		ხელმოწ...	ხელმოწ...															

### 3.1 შუსაპლო პრობლემა

კავშირის შემოწმება ASYCUDA WORLD -ის ცენტრალურ სერვერებთან

ამისათვის, შედიხართ **WINDOWS** -ის **“Start”** მენიუში, ირჩევთ **“Run...”**-ს და გამოსულ ფანჯარაში კრიფავთ **“ping -t 192.168.10.52 ”** როგორც ეს ნახატზეა ნაჩვენები და აჭერთ OK-ს.



თუ ეკრანზე გამოჩენილ შავ ფანჯარაში იწერება შემდეგი ტიპის სტრიქონები:

```
Pinging 192.168.10.52 with 32 bytes of data:
Reply from 192.168.10.52: bytes=32 time<1ms TTL=63
Reply from 192.168.10.52: bytes=32 time<1ms TTL=63
Reply from 192.168.10.52: bytes=32 time<1ms TTL=63
Reply from 192.168.10.52: bytes=32 time<1ms TTL=63
```

მაშინ კავშირი სერვერთან წესრიგშია.